სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/17

ქ. თბილისი 10 მარტი 2022 წ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2022 წლის 7 მარტის საბჭოს სხდომის №5 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 10 მარტის №01-05-02/06 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:
   1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა“;
   1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“;
   1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ~~ქ.~~ თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დავით გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — იაშა კუტუბიძე